ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N21

2023 წლის 28 აპრილი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები:
-ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში მდებარე 2364.0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.37.02.510);
-ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში მდებარე 2026.0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.37.01.370);
-ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო კვირიკეში მდებარე 229.0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.43.07.202);
-ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში მდებარე 934.0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.37.02.515);
-ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში მდებარე 368.0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.43.06.342) შემდგომში სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ზე გადაცემის მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30;

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი